სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

28.09.2017 № 178

თბილისი

სტუ-ის 2017 წლის 18 აგვისტოს №158 ბრძანებაში
ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება სტუ-ის 2017 წლის 18 აგვისტოს №158 ბრძანებაში და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6^1 პუნქტი:
„6^1. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც არ გააფორმებს ხელშეკრულებას შესაბამის ფაკულტეტზე 2017 წლის 29 სექტემბრის 17 საათის ჩათვლით, კარგავს 2017-2018 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას. ამის შედეგად წარმოქმნილ ვაკანტურ ადგილზე/ადგილებზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს/მოიპოვებენ რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მომდევნო კანდიდატი/კანდიდატები, რომლებმაც ხელშეკრულება შესაბამის ფაკულტეტზე უნდა გააფორმონ 2017 წლის 30 სექტემბერს 10^{00} საათიდან 17^{00} საათამდე. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდგომ, დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება გაგრძელდეს 2017 წლის 2 ოქტომბერს 10^{00} საათიდან 17^{00} საათამდე“.
2. შევიდეს ცვლილება სტუ-ის 2017 წლის 18 აგვისტოს №158 ბრძანებაში და მე- 7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. სწავლების დეპარტამენტმა 2017-2018 სასწავლო წლისთვის სტუ-ის სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არაუგვიანეს მიმდინარე წლის 3 ოქტომბრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისი წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში “.

3. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:
ვიცე-რექტორი ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე